MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

მითების დეტექტორი

# ძალადობრივი ჯგუფების ანატომია
# 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან



# ძალადობრივი ჯგუფების ანატომია

## 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან

**ავტორი:** ანი ქისტაური

**რედაქტორი:** თამარ კინწურაშვილი

**დიზაინი:** მაკო ცუცქირიძე

# შესავალი

2021 წლის 5 ივლისს თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი “ღირსების მარშის” საწინააღმდეგო ძალადობრივი ქმედებებიდან ერთი წელი გავიდა. აქციის ჩასაშლელად ძალადობრივმა ჯგუფებმა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქცია გამართეს, სამოქალაქო აქტივისტების ორგანიზაცია “სირცხვილიას” და “თბილისი პრაიდის” ოფისები, ასევე პარლამენტის წინ გაშლილი ოპოზიციის კარვები დაარბიეს. 6 ივლისს კონტრაქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ საქართველოს დროშის გვერდით აღმართული ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვეს. ძალადობრივი ჯგუფები 53 ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მათი ტექნიკა კი მიზანმიმართულად დააზიანეს. 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე თავდაპირველად 31 პირი დააკავეს. თუმცა, მედია ადვოკატირების კოალიციის შეფასებით, თავად ძალადობის ორგანიზატორთა მიმართ სამართალდამცავებს ზომები არ მიუღიათ.

ძალადობრივი აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან: სხვანეთიდან, იმერეთიდან, კახეთიდან, რუსთავიდან, სამეგრელოდან, აჭარიდან იყვნენ ჩამოსულები და მეტწილად ლევან ვასაძის პარტიის “ერთობა, რაობა, იმედის” და “ქართული მარშის” მხარდამჭერებს წარმოადგენდნენ. სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტომასალების ანალიზის შედეგად “მითების დეტექტორმა” ღია წყაროებით ძალადობრივ აქციაში მონაწილე პირების ამოცნობა და მათი კავშირების დადგენა მოახერხა (იხ. დანართი 1). გამოიკვეთა ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ან ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით საქმიანობენ. ეს ჯგუფებია:

1. ეროვნულობის და გენდერული იდენტობის შესანარჩუნებლად ფიზიკურ წვრთნებში ჩართული პირები,
2. “ჯვაროსნულ მოძრაობაში” ჩართული და “საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან” დაკავშირებული პირები,
3. ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგო კამპანიასა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართული პირები,
4. ანტივაქსერულ კამპანიებში ჩართული პირები.

აქციის ორგანიზებას და იდეოლოგიურ მხარდაჭერას, მათ შორის ძალადობის კულტივირებას, როგორც მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, ტვ ალტ-ინფოს დამფუძნებლები და წამყვანები ახდენდნენ, რომლებიც მოგვიანებით პოლიტიკურ პარტიად ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა ტრანსფორმირდნენ. თავის მხრივ, აღნიშნული ჯგუფი ულტრანაციონალისტ რუს ფილოსოფოსსა და ევრაზიანისტული მოძრაობის დამფუძნებელ ალექსანდრ დუგინთან არის დაკავშირებული.

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს იმ ჯგუფების შესწავლას, ვინც საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველაზე მკაფიოდ 2021 წლის 5 ივლისს, თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში ძალადობრივი პროტესტის და ჟურნალისტებზე ორგანიზებული ძალადობის შედეგად გამოჩნდა. ანგარიშის პირველი ნაწილი აქციის მონაწილეთა პროფილებს დაეთმობა, მეორე ნაწილი კი პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნილ ალტ-ინფოს, რომელიც ასპარეზზე ქვეყნის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების, მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის გზით, დღის წესრიგით შემოვიდა და რომელიც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

# მთავარი მიგნებები

2021 წლის 5-6 ივლისს "ღირსების მარშის" ძალადობრივ კონტრაქციაში მონაწილე პირები სხვადასხვა აქტივობებში არიან ჩართული:

- ნაწილი სპორტულ ცენტრებში ფიზიკურ მომზადებას ეროვნული და გენდერული იდენტობის შენარჩუნების გზად სახავს. მწვრთნელთა ნაწილი კრემლთან აფილირებული "ქართული მარშის" ყოფილი წევრები არიან.
- ნაწილი, მათ შორის ისინიც, ვინც ახალგაზრდების ფიზიკურად მომზადებაში არიან ჩართული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯვრების აღმართვის რიტუალებში ე.წ. "ჯვაროსნულ მსვლელობაში" მონაწილეობს ან "საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან" არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი 5 ივლისის მოვლენებს ფეისბუკზე ლაივში გადასცემდა.
- "ჯვაროსნული მოძრაობა" საქართველოსთვის ჯვრებით სარტყელის შემორტყმას ისახავს მიზნად. მოძრაობის თანახმად, საქართველოს საზღვარი 1970 კმ-ია და მათ სწორედ 1970 ჯვრის აღმართვის განზრახვა აქვთ, რისთვისაც თანამოძმეების მობილიზებას ახდენენ.
- აქციის მონაწილეთა უმეტესობა ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგო აქციებში იყო ჩართული, მათი ნაწილი კი ამ მიზნით თანამოაზრეთა მობილიზებითა და ქრაუდფანდინგით იყო დაკავებული.
- ღირსების მარშის კონტრაქციის მონაწილეები 5 ივლისის მოვლენების შემდეგ ანტივაქსერულ აქტივობებში განსაკუთრებით აქტიურად ჩაერთვნენ, რაც ერთი მხრივ, კრიტიკულ თემაზე ნეგატიური მუხტის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ, ივლისის ბოლოს აშშ-ს მთავრობის დახმარების ჩამოსვლას უკავშირდებოდა.
- 5 ივლისის ძალადობის ორგანიზებას ლევან ვასაძესთან დაკავშირებული ტელეკომპანია ალტ-ინფოს დამფუძნებლები და წამყვანები ახდენდნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ აგრესია პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სტანდარტად უნდა ქცეულიყო, დასავლური სიმბოლოების (დროშების) დაწვა კი - ყოველდღიურ რეალობად.
- ალტ-ინფოს წამყვანები საინფორმაციო ველის ოპოზიციურად განწყობილი არხებისგან გაწმენდის აუცილებლობაზე საუბრობდნენ და ამოცანად ქვეყნის პროდასავლური კურსის ცვლილებას, ლიბერალიზმის კონსერვატიული იდეოლოგიით ჩანაცვლებას და ეკლესიასთან ერთად ქვეყნის მართვას ასახელებდნენ.
- თბილისში მიმდინარე ძალადობას და ევროკავშირის დროშების დაწვის აქციას მხრადაჭერას უცხადებდა რუსი ფილოსოფოსი, ევრაზიანისტული მოძრაობის დამფუძნებელი ალექსანდრე დუგინი, რომელიც ანტიდასავლური რიტორიკით ალტ-ინფოს ეთერში 5 ივლისამდეც ჩნდებოდა.
- 5 ივლისს ძალადობის დემონსტრირების შემდეგ, 2021 წლის 20 ნოემბერს ტელეკომპანია პოლიტიკურ პარტიად ტრანსფორმირდა და ქვეყნის მასშტაბით 62 პარტიული ოფისი გახსნა.
- მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მიერ ძალადობრივი აქციის მხარდაჭერასთან ერთად რამდენიმე სასულიერო პირი კონსერვატიული მოძრაობის ოფისების კურთხევაში მონაწილეობდა და პარტიას ღია მხარდაჭერას უცხადებდა. ესენია: ვარდიგორის მამათა მონასტრის დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა არჩილი, შემოქმედის ეპარქიის მაკვანეთის ეკლესიის წინამძღვარი მამა ვახტანგი (თოხაძე), თელავის ღვთაების დედათა მონასტრის მღვდელმსახური, გენადი გოგილაშვილი; საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდას ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი გიორგი პავლოვი. საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდას ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი გიორგი პავლოვი.
- ძალადობრივი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კონსტანტინე მორგოშია წარსულში კრემლისტური პარტიებთან "პატრიოტთა ალიანსთან" და "ქართულ მარშთან" იყო დაკავშირებული. "ალტ-ინფოს" წამყვანი და კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზურა მახარაძე კი წარსულში სახელისუფლებო არხ Post TV-ზე გადაცემებს ამზადებდა, ასევე აქვეყნებდა სტატიებს "ქართულ ოცნების" მემარცხენე ფრთასთან დაკავშირებულ პლატფორმაზე European.ge, სადაც საქართველოს იმ მომენტისთვის მომზადებაზე საუბრობდა, როცა "ამერიკის გლობალური უკანდახევის" გამო, საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანის გაკეთება მოუწევდა. მახარაძე ასევე ამტკიცებდა, რომ "დასავლეთის, როგორც აბსოლუტური სიკეთისა და ერთადერთი პოლიტიკური ორიენტირის ხატის ნგრევა"გარდაუვალი იყო, რითაც "ეპოქა, რომელიც ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვებით გაფორმდა ("მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი") დასრულდებოდა.

# სარჩევი


I. ძალადობრივი აქციის მონაწილე სხვადასხვა ჯგუფები. . . . . 6

1.1. ეროვნულობის და გენდერული იდენტობის შესანარჩუნებლად ფიზიკურ წვრთნებში ჩართული პირები. . . . . 6
1.2. “ჯვაროსნულ მოძრაობაში” ჩართული და “საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან” დაკავშირებული პირები. . . . . 13
1.3. ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგო კამპანიასა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართული პირები. . . . . 17
1.4. ანტივაქსერულ კამპანიებში ჩართული პირები. . . . . 20

II. ძალადობის ორგანიზატორები. . . . . 22

# I. ძალადობრივი აქციის მონაწილე სხვადასხვა ჯგუფები

## 1.1. ეროვნულობის და გენდერული იდენტობის შესანარჩუნებლად ფიზიკურ წვრთნებში ჩართული პირები

გამოიკვეთა აქციის მონაწილეების ერთი ნაწილი, რომელიც სპორტულ ცენტრებში ფიზიკურ მომზადებას ეროვნული და გენდერული იდენტობის შენარჩუნების გზად სახავს. მათ შორის არიან:

- ერმილე ნემსაძე, ყოფილი სამხედრო, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კრემლთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე პარტია "ქართული მარშის" მაჟორიტარობის კანდიდატი იყო;
- ენრი ონიანი, რომელიც "ქართული მარშის" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პარტიულ სიაში 21-ე ნომრად იყო წარდგენილი.
- ჯარჯი ნონეშვილი, "MMA group მძლევარი-სამწევრისის" მწრთვნელი.

მათთან ერთად სპორტულ სივრცეებში ჩნდებოდნენ და ასევე 5 ივლისის აქციაში მონაწილეობდნენ ლაშა ლეკიაშვილი, რატი ნიჟარაძე და გიორგი ნასყიდაშვილი.






2020 წლის მარტში ClickMedia • ქლიქმედია-მ მოამზადა ფილმი, სახელწოდებით "უფასოდ ვარჯიში "ქართული მარშისგან"", რომლითაც გაირკვა, რომ ულტრამემარჯვენე დაჯგუფება "ქართული მარში" მხარდამჭერებს სხვადასხვა სპორტულ დარბაზში უფასოდ ავარჯიშებდა. ერმილე ნემსაძე სავარჯიშოდ იმ ადამიანებს ეპატიჟებოდა, ვინც ფიქრობდა, რომ ეროვნულობის დაკარგვა რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა და საქართველოს მთავარი მტერი "სოროსის ფონდი" და დასავლური ღირებულებების მქონე ორგანიზაციები იყვნენ. ფილმში ერმილე ნემსაძე "ქართული მარშის" პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნის პერსპექტივაზეც საუბრობდა და აცხადებდა, რომ ისინი უმრავლესობის აზრს წარმოადგენენ და რომ მართლმადიდებელ საქართველოში, პირველ რიგში, ქრისტიანები და ეროვნებით ქართველები იჩაგრებოდნენ.







აღსანიშნავია, რომ ClickMedia • ქლიქმედიას მომზადებულ ფილმში სავარჯიშო დარბაზში ფიგურირებს ენრი ონიანიც, რომელიც 5 ივლისის აქციის მონაწილეცაა და ერმილე ნემსაძესთან ერთად ხშირად ჩნდება.



*ენრი ონიანი (მარცხნივ)*

2020 წლის ივნისში "ტვ პირველის" მიერ მომზადებულ სიუჟეტში, "ქართული მარშის" ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ დაადასტურა, რომ მოძრაობა იმ ახალგაზრდების ფიზიკურად მომზადებას უზრუნველყოფდა, ვინც მიიჩნევდა, რომ ეროვნული ინტერესებს ფიზიკურად დაცვა ესაჭიროება. გარდა ამისა ბრეგაძე აღნიშნავდა, რომ გარეუბანში მსურველებს სავარჯიშოდ მისვლა უჭირდათ და ამიტომ დარბაზი ქალაქის ცენტრში უნდა გადმოეტანათ.

2020 წლის სექტემბერში ენრი ონიანმა უკვე "იუთუბის" პირად არხზე ვიდეო შემდეგი სათაურით ატვირთა: "უფასო დარბაზი ყველა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანისთვის ✊ "




ენრი ონიანის მიერ ფეისბუკზე გამოქვეყნებულ [ფოტოებსა](#) და “იუთუბზე” ატვირთულ [ვიდეოში](#) ვხედავთ, რომ 2020 წლის შემოდგომაზე სავარჯიშო დარბაზის ინტერიერი უკვე შეცვლილია და სავარაუდოდ, ისინი სხვა დარბაზში ვარჯიშობენ. 2020 წლის სექტემბრიდან “ქართული მარშის” მხარდამჭერები სპორტულ კომპლექს “არენაშიც” [ვარჯიშობდნენ](#).




*ენრი ონიანი (მარცხნივ), რატი ნიჟარაძე (შუაში)*

2020 წლის 12 სექტემბერს ექსტრემისტული გაზეთ “ასავალ-დასავალის” ავტორმა და იმ დროისთვის “ქართული მარშის” პარტიის თავმჯდომარის [მოადგილემ](#), გიორგი გიგაურმა პარტიის წევრი ახალგაზრდების ფოტო შემდეგ კომენტართან ერთად [გამოაქვეყნა](#):

> “შეხედეთ სპორტულ დარბაზში (და არა რომელიღაც ნარკო-გეი-კლუბის ჯურღმულებში) მყოფ „ქართული მარშის" სულითა და ხორცით ქართველ ახალგაზრდა ლომებს და მიხვდებით, რომ: „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა" - ქართული საქართველოა!”







მარცხნიდან რატი ნიჟარაძე, ენრი ონიანი (ზის), გიორგი ნასყიდაშვილი (მარჯვნიდან პირველი)




მარცხნიდან ენრი ონიანი, გიორგი ნასყიდაშვილი (წინა რიგში)



მარცხნიდან გიორგი დიღმელაშვილი, გიორგი ნასყიდაშვილი, მარჯვნიდან პირველი - ენრი ონიანი.

2021 წლიდან ენრი ონიანმა სოფელ მარაბდაში ბავშვების ფიზიკურად მომზადება დაიწყო. პარალელურად კი, ერმილე ნემსაძესთან ერთად ჩართული იყო ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგოდ გამართულ აქციებში.




ენრი ონიანი 2020 წლის ივლისში სოროსის ფონდის, ხოლო ნოემბერში - ფილმის ”და ჩვენ ვიცეკვეთ” ჩვენების საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაშიც მონაწილეობდა.







ონიანს 2022 წლის 28 ივნისის მონაცემებით, 1 ფეისბუკ გვერდი (პერსონალური ბლოგი) და ორი ანგარიში: ენრÏ Ωნიანი და Enri Oniani აქვს. ონიანი ასევე მართავდა ფეისბუკ ჯგუფს “ქართველთა

საძმო", რომელიც 2021 წლის 25 ივნისს დაიბლოკა.







ონიანი 5 ივლისს გამართულ პრაიდის საწინააღმდეგო აქციაზე ჯარჯი ნონეშვილთან ერთად იმყოფებოდა, რომელიც ქვემო ქართლში, სოფელ სამწევრისში ახალგაზრდების საწვრთნელი კლუბი აქვს.



ჯარჯი ნონეშვილს სოფელ სამწვერისში უფასო სპორტ-სკოლა აქვს, რომელშიც ადგილობრივ ბავშვებს შერეული ტიპის ორთაბრძოლაში ავარჯიშებს. MMA Group მძლევარი-სამწევრის ფეისბუკ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის მიხედვით, სპორტ-კლუბის მიზანი ”ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა პატარებში და ახალგაზრდებში, მომავალი თაობის მაქსიმალურად მოშორება მომაკვდინებელი და ცუდი ჩვევებისგან (ნარკოტიკები, ალკოჰოლი, თამბაქო...), ზნეობრივი და ვაჟკაცური (ქართულ-კავკასიური) მენტალიტეტის ჩამოყალიბება” არის. ერთ-ერთ ვიდეო მიმართვაში შუქიაური განმარტავს, თუ როგორი ბიჭების აღზრდა არ არის ქვეყნის განვითარებისთვის კარგი (“ფისუსა ბიჭები”) და რა როლი აქვს მათ სწორად აღრდაში ფიზიკურ ვარჯიშს.

> **ჯარჯი ნონეშვილი, “MMA group მძლევარის” მწრთვნელი:** “სამწუხაროდ, ისეთი ტენდენცია შემოვიდა, რომ ფისუსა ბიჭები იზრდებიან, რაც არ არის ქვეყნის განვითარებისთვის, ქვეყნის სიძლიერისთვის კარგი.”

ჯარჯი ნონეშვილი და ენრი ონიანი ხშირად ხვდებოდნენ ერმილე ნემსაძეს და 5-6 ივლისის აქციის სხვა მონაწილე პირებს. ერმილე ნემსაძემ, თავის ფეისბუკ ანგარიშზე 15 თებერვალს ლაივში განაცხადა, რომ საქართველოს ტოვებდა. წასვლიდან რამდენიმე დღეში, ერმილე ნემსაძემ ერთ-ერთ ლაივში აღნიშნა, რომ პოლონეთში არის სამუშაოდ წასული.









## 1.2. “ჯვაროსნულ მოძრაობაში” ჩართული და “საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან” დაკავშირებული პირები

გარდა სასულიერო პირების ძალადობის წამახალისებელი რიტორიკისა, რომელიც 5 ივლისის მოვლენებს წინ უსწრებდა და ძალადობრივი ჯგუფების აქციაში სასულიერო პირების მონაწილეობისა, ძალადობრივი აქციის მონაწილეთა პროფილების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი:

> ა) აქციის მონაწილეთა ნაწილი, მათ შორის ისინიც, ვინც ახალგაზრდების ფიზიკურად მომზადებაში არიან ჩართული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯვრების აღმართვის რიტუალებში ე.წ. “ჯვაროსნულ მსვლელობაში” მონაწილეობს;
> ბ) ნაწილი “საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებასთან” არის დაკავშირებული.

**ჯვაროსნული მსვლელობა.** ტვ პირველის გარდაცვლილ ოპერატორზე ლექსო ლაშქრავაზე ძალადობაში ბრალდებული დათო კუტალაძის მიერ დაფუძნებული გაერთიანება “ის აქ არის” 2021 წლის მაისში, ტვიშში The Crusade"ჯვაროსნული მსვლელობის" მიერ გამართულ ჯვრის აღმართვის რიტუალში მონაწილეობდა. “ჯვაროსნული მსვლელობის” ფეისბუკ გვერდზე განთავსებული ფოტოს აღწერის თანახმად, ჯვაროსნული მდუმარე მსვლელობის მიზანი ”ტკბილი საქართველოსთვის ჯვრებით სარტყელის შემორტყმა” არის. მოძრაობის თანახმად, საქართველოს საზღვარი 1970 კმ-ია და მათ სწორედ 1970 ჯვრის აღმართვის განზრახვა აქვთ, რისთვისაც თანამოძმეების მობილიზებას ახდენენ.







“ჯვაროსნული მსვლელობის” რიტუალებში ჩართულები იყვნენ 5 ივლისის აქციის სხვა მონაწილეებიც: ენრი ონიანი, ჯარჯი ნონეშვილი, ნასყიდაშვილი ლევანი, გიორგი ნასყიდაშვილი ფიდო ხიზანიშვილი, ხვიჩა ამირანაშვილი, გიორგი დემეტრაძე, გიორგი ასათიანი.




**საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება.** საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების ფეისბუქ გვერდი 5 ივლისს ღირსების მარშის საწინააღმდეგოდ გამართულ  აქციას პირდაპირ ეთერში აშუქებდა და ალტ-ინფოს წევრებისა და მხარდამჭერების მიმართვებსაც ავრცელებდა.




4 ივლისს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებამ განცხადება გაავრცელა და კონტრაქციაზე ბავშვების გამოყვანა დაანონსა. "5 ივლისს „თბილისი-პრაიდის" მიერ დაანონსებული მარში უხეშად არღვევს როგორც საერთო მორალს, ასევე ბავშვთა, ანუ ჩვენს საუკეთესო ინტერესს. ამასთან, რაც უფრო აგრესიულად გვილანძღავენ მშობლებს, რომლებიც რელიგიური, ეროვნული და ზნეობრივ წესებით გვზრდიან და რაც უფრო დაჟინებით მოითხოვენ პრაიდის გამართვას, მით უფრო მეტად ძალადობენ ჩვენზე", - ნათქვამი იყო განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება 24 ივნისს “ალტ-ინფოს” მოკავშირეების საორგანიზაციო შეხვედრაზე იმყოფებოდა. “დემოკრატიის მცველების” კვლევის თანახმად, 2021 წლის 24 ივნისს მცხეთაში, „ჯინო ველნესში“ გაიმართულ შეხვედრაზე ორგანიზაცია „მამულიშვილები“, ჩოხოსანთა საზოგადოება, მოძრაობა „ეროვნული მასმედიისთვის“, პედაგოგთა ასოციაცია „განათლება და ზნეობა“ “ალტ-ინფოს” თამფუძნებლებთან ერთად ლგბტქ+ პრაიდის წინააღმდეგ აქციის ორგანიზებაზე შეთანხმდნენ.

5 ივლისის ძალადობრივ აქციაში ასევე მონაწილეობდა “საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების” წევრი, ნიკოლოზ კვანჭიანი, რომელიც ყოფილი სამხედროა. კვანჭიანმა სამხედრო სამსახური 2021 წლის 2 ივნისს რიონის ხეობის მცველების მხარდაჭერის მიზნით დატოვა. ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგოდ გამართულ პროტესტში კვანჭიანი გოგა ფოლადიშვილთან ერთად იღებდა მონაწილეობას. ეს უკანასკნელი კი კონტრაქციაზე ენრი ონიანთან ერთად იმყოფებოდა.





3 ივლისს კვანჭიანმა ფეისბუკის ლაივში თქვა, რომ 5 ივლისს ლგბტ ადამიანებს რუსთაველის გამზირზე შიშვლებსა და შეღებილებს უნდა ჩაევლოთ და ეს ინფორმაცია მას სუსისა და სხვა სამსახურებისგან ჰქონდა მოწოდებული.

> **ნიკოლოზ კვანჭიანი, საპარტიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი:** “ეს პიდარასტები, ელგებეტეები აპირებენ შიშვლები გამოვიდნენ და შეიღებონ ლგბტ ფერებში. პოლიციის, ზოგადად შინაგანის დახმარებით ჩამოიარონ რუსთაველზე. და არა მარტო შინაგანის. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იქნება ჩართული მაგაში, სუსი. ყველა აბსოლიტურად და სავარაუდოდ, თავდაცვის ძალების შესაძლოა შეაშველონ, თუ არ ეყოთ რესურსი. სრული მობილიზაცია არის გამოცხადებული საქართველოს მასშტაბით, ძალიან ბევრი ახლობელი მყავს ყველა სტრუქტურაში და ძალიან ბევრმა შინაურმა მითხრა, რომ სრული მობილიზაციაა გამოცხადებული და აბსოლუტურად მთელი ერი უნდა გამოვიდეს 5 ივლისს რუსთაველზე.”



"“ვეღარც ვლაპარაკობ, ისეთ დონეზე ვარ მისული. გაჭედილი მაქვს, სრულად მაქვს გაჭედილი. ძლივს ვიკავებ თავს რო აი რაღაცა რამე რესურსი, რაც არის, იარაღი იქნება თუ სხვა, არ ავიღო და არ ჩავცხრილო ისინი, ის არაადამიანები. იმიტომ, რომ ისინი არიან ერის გამრყვნელები.”

ნიკოლოზ კვანჭიანს, 27 ივნისის მონაცემებით, 5 ფეისბუკ ანგარიში აქვს: ნიკოლოზ კვანჭიანი, საქართველო უპირველესყოვლისა (დეაქტივირებულია), ნიკოლოზ კვანჭიანი, ნიკოლოზ კვანჭიანი მეექვსე ფბ, ნიკოლოზ კვანჭიანი მერვეჯერ დამარეპორტეს და 2 ფეისბუკ გვერდი: იბერთა შეფიცულთა რაზმი, რომელიც 27 ივნისს Geo DevelopmenT Group 2022-ად გადაკეთდა და ნიკოლოზ კვანჭიანი - ენა.მამული.სარწმუნოება, რომელმაც სახელი ასევე შეიცვალა (სჰსბსბსბ).



### 1.3. ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგო კამპანიასა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართული პირები

5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავაზე ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ფაქტზე დაკავებული დათო კუტალაძე ჯვრების აღმართვის გარდა, სოციალური დახმარების მიზნით თანხების შეგროვებითა (ქრაუდფანდინგი) და სხვადასხვა რეგიონში დახმარებების გადანაწილებით, ასევე ნამოხვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ხალხის მობილიზებით იყო დაკავებული.




***სქრინი:*** *პოსტი, სადაც თანხების მობილიზების მიზნით დავით კუტალაძე საბანკო ანგარიშს უთითებს*

დათო კუტალაძემ მეგობარ ბექა ბერიშვილთან ერთად 2021 წლის 25 აპრილს ფეისბუკ გვერდი **Is aq aris/ის აქ არის** შექმნა. გვერდზე გამოქვეყნებული 2021 წლის 20 ივლისის პოსტის მიხედვით, **Is aq aris/ის აქ არის** სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს დახმარებას უწევს, რასაც გვერდზე გაზიარებული კუტალაძის ერთ-ერთი ვიდეოც ცხადყოფს, სადაც ის დახმარების მიზნით შეგროვებული საკვების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების დემონსტრირებას ახდენს და უცხოეთიდან, ასევე ადგილობრივი რესურსით თანხების მობილიზებაზე საუბრობს. ამავე გვერდზე გაზიარებული პირველი პოსტებიდან ვიგებთ, რომ კუტალაძის მიერ წამოწყებული მოძრაობის მიზანს ქართული დროშის ქვეშ მთელი საქართველოს გაერთიანება, უფრო კონკრეტულად კი ნამოხვან ჰესის აქციის საწინააღმდეგოდ თანამოაზრეების შემოკრება წარმოადგენს.



2021 წლის 30 აპრილს რეგიონულმა ტელეარხმა რიონმა დავით კუტალაძის მოძრაობა “ის აქ არის” ქუთაისში გამართული აქცია [გააშუქა](), რომელიც რიონის მცველების სოლიდარობის მიზნით შეიკრიბა, სადაც საქართველოს 12 სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოტანილი ნივთები გამოჰფინეს. აქციის ორგანიზატორების თქმით, რეგიონებში ნამოხვან ჰესის საწინააღმდეგო კამპანია აწარმოეს და თანამოაზრეები შემოიკრიბეს.




საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნამოხვანჰესის საწინააღმდეგოდ საზოგადოებრივი აზრის მობილიზების ამსახველი ვიდეომასალა დავით კუტალაძეს საკუთარ [youtube]() არხზეც აქვს ატვირთული.

[ნამოხვან ჰესის]() წინააღმდეგ აქციებში იყო ასევე ჩართული “თბილისი პრაიდის“ ოფისზე ჯგუფურად თავდასხმის ბრალდებით [დააკავებული]()  [გიორგი ოძელაშვილი]()ც, რომელიც 3 ივლისს ლგბტ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების წინააღმდეგ მხარდამჭერების მობილიზებას სოციალური ქსელით [ახდენდა](). ოძელაშვილი ყოფილი სამხედროა. გიორგი ოძელაშვილს ფეისბუქ პროფილი [გიორგი ოძელაშვილი](), [საქართველოს მომავალი ]()და გვერდები [არსენა ოძელაშვილის კვალდაკვალ, ]() [ნუ გეინაზები არ გეილახები](), [მამული, ენა, სარწმუნოება]() აქვს.




5 ივლისის აქციაზე ენრი ონიანთან [ერთად]() [დავით ლომსაძე]() იმყოფებოდა.



დავით ლომსაძის პირად [ფეისბუკ გვერდზე](#) სულ რამდენიმე პოსტი იძებნება, საიდანაც ორივე შემთხვევაში იარაღი ფიგურირებს. პირველ შემთხვევაში სურათი გრაფიკულია და მასზე საქართველოს სხვადასხვა დროს დაკარგული ტერიტორიები ჩანს, რომლის დასაცავად, ბორჯღალოს სიმბოლიკიანი მებრძოლი იარაღით ხელში დგას. [მეორე ფოტოზე](#) კი ლომსაძე ფაშისტური მოძრაობის, “საქართველოს ეროვნული ერთობის” წევრ გიორგი ქელიძესთან ერთად იარაღით ხელში ჩანს. აღსანიშნავია, რომ გიორგი ქელიძე 2018 წლის 31 აგვისტოს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით [დააკავეს.](#)







*დავით ლომსაძე და გიორგი ქელიძე*



## 1.4. აქციის მონაწილეების ჩართულობა ანტივაქსერულ კამპანიაში

ღირსების მარშის კონტრაქციის მონაწილეები 5 ივლისის მოვლენების შემდეგ ანტივაქსერულ აქტივობებში განსაკუთრებით აქტიურად ჩაერთვნენ, რაც ერთი მხრივ, კრიტიკულ თემაზე ნეგატიური მუხტის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ, ივლისის ბოლოს აშშ-ს მთავრობის დახმარების ჩამოსვლას უკავშირდებოდა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს Pfizer/BioNTech-ის ნახევარი მილიონი დოზა გადმოეცა. 2021 წლის 24 ივლისს პარლამენტის წინ გამართულ ანტივაქსერულ დემონსტრაციაზე 5 ივლისის აქციაში მონაწილეთა ნაწილი[1] იყო მობილიზებული, მათ შორის ერმილე ნემსაძე და ბექა ვარდოსანიძე, რომელიც აქციას ლაივში აშუქებდა.




ძალადობრივი აქციის მონაწილეები “მწვანე პასპორტებისა” და ვაქცინაციის საწინააღდეგო შეკრებებში ჩართულობის გარდა, სოციალურ ქსელში ვაქცინებზე დეზინფორმაციის გავრცელებითაც იყვნენ დაკავებულნი: მაგალითად, 5 ივლისის აქციის ერთ-ერთი მონაწილე თემო ბოკელავაძე ზვიად ტომარაძესთან ერთად სავალდებულო ვაქცინაციისა და “მწვანე პასპორტების” წინააღმდეგ აქციების ორგანიზებაში იყო ჩართული. თემო ბოკელავაძე ერთდროულად რამდენიმე ფეისბუკ ანგარიშს მართავს:

| ფეისბუქ გვერდები | ფეისბუქ პროფილი | ფეისბუქ ჯგუფი |
|---|---|---|
| თემო ბოკელავაძე (პერსონალური ბლოგი) | Ersmen Kong (თემო ბოკელავაძე) | სამოქალაქო პროტესტი (გადაადგილება) |
| ეროვნული ფრონტის ხაზზე | თემო ბოკელავაძე (თემო ბოკელავაძე) | |
| თემურ ბოკელავაძე | თემო ბოკელავაძე სათადარიგო | |
| სინდისის ბიჭები | | |
| თანამებრძოლი | | |

[1] სანდრო ლობჟანიძე, თემო ბოკელავაძე, ნიკოლოზ კვანჭიანი, ლაშა მენთეშაშვილი, გოგა ფოლადიშვილი, დავით ლომსაძე, ლაშა ლეკიაშვილი, ლევან მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი ლევანი, ერმილე ნემსაძე, ენრი ონიანი, იაგო ჭანტურია, დავით გუდაშვილი, გიორგი ნემსაძე, ლუკა ჩირგაძე, ოთარი ჩიტიშვილი, ვაჟა გუმბერიძე, ელდარ დადვანი, გიორგი დადვანი, მირიანი ბერიძიშვილი, ლევან სარჯველაძე, ლაშა ხეცურიანი, გელა გაგუა, გიორგი ნასყიდაშვილი, დავით გუდაშვილი, გიგა კარბელაშვილი, დავით ლომსაძე,გიორგი ანიაშვილი, გიორგი ანიაშვილი, შოთა მამულაშვილი, გიორგი გულიკაშვილი, ზურაბ კობახიძე, გიორგი ქერდეყაშვილი, გიორგი დემეტრაძე, გიორგი ასათიანი, Beso Berishvili


თემო ბოკელავაძე
Posts About Mentions Reviews Followers More
Follow Message
ეროვნული ფრონტის
ხაზზე .
Personal blog
სინდისის ბიჭები
Personal blog
Follow
თანამებრძოლი
Posts About Mentions Reviews Followers More
Follow Message


სამოქალაქო პროტესტი
(გადაადგილება)

# II. ძალადობის ორგანიზატორები

5 ივლისის მოვლენების ორგანიზატორთა შორის იმ ხანად ლევან ვასაძესთან დაკავშირებული ტელეკომპანია ალტ-ინფოს დამფუძნებლები და წამყვანები იყვნენ, რომლებიც აქციას საინფორმაციო იდეოლოგიურ მხარდაჭერას უწევდნენ. ალტ-ინფოს ეთერით ხშირად ისმოდა განცხადებები, რომ აგრესია პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სტანდარტად უნდა ქცეულიყო, დასავლური სიმბოლოების (დროშების) დაწვა კი - ყოველდღიურ რეალობად. ალტ-ინფოს წამყვანები ქვეყნის საგარეო პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებას, “დასავლელი კოლონიზატორების” წინააღმდეგ პროტესტის პოლიტიკურ მოძრაობად კონვერტირებას, ლიბერალიზმის ქრისტიან-კონსერვატული მმართველობით ჩანაცვლებას და ქვეყნის დედა-ეკლესიასთან ერთად მართვას აანონსებდნენ. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კი საინფორმაციო ველის ოპოზიციურად განწყობილი არხებისგან გაწმენდის აუცილებლობაზე საუბრობდნენ.

5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებს, მათ შორის ევროკავშირის დროშის დაწვის ვანდალურ მოწოდებებს და შესაბამისს ქმედებებს, მხარდაჭერას უცხადებდა რუსი ფილოსოფოსი, ევრაზიანისტული მოძრაობის დამფუძნებელი ალექსანდრე დუგინი, რომელიც პირად ფეისბუქ გვერდზე თბილისში ევროკავშირის დროშის დაწვის პოსტს შემდეგი ტექსტით აზიარებდა: “საქართველო, რომლითაც აღტაცებული ვარ” (Georgia I admire).




დუგინი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს “ერთობა, რაობა, იმედის” დამფუძნებელ ლევან ვასაძესთან, 5 ივლისის მოვლენებამდე “ალტ-ინფოს” ეთერში ანტიდასავლური გზავნილებით ხშირად ჩნდებოდა.



*ფოტოზე: ალექსანდრე დუგინი*

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ, ალტ-ინფოს წამყვანები შიშების კულტივირებას ახდენდნენ და ამტკიცებდნენ, რომ თუ საქართველო საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას არ შეცვლიდა და რუსეთზე სწორებას არ აიღებდა, მას იგივე ელოდა, რაც უკრაინას, რადგან საქართველოს ომში ითრევდნენ და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საომარ მოქმედებებად არ ღირდა. ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის ამ გზავნილს, რომელიც შიშების ინსტრუმენტალიზაციას ახდენს, კრემლის პროპაგანდისტული მედიაც ტირაჟირებს.



КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА | РОССИЯ | ВИДЕО | ФОТО | СПЕЦОПЕРАЦИЯ НА УКРАИНЕ | КОРОНАВИРУС | ПОЛИТИКА | ОБЩЕСТВО | ЭКОНОМИКА | В МИРЕ | ЗВЕЗДЫ | ЗДОРОВЬЕ

В МИРЕ | Эксклюзив kp.ru | 6 июля 2022 19:05

**Организатор митинга против гей-пропаганды в Грузии: Нас пытаются превратить во вторую Украину**

Секретарь партии «Консервативное движение» рассказал kp.ru, могут ли Москва и Тбилиси помириться на почве традиционных ценностей

Эдвард ЧЕСНОКОВ ПОДПИСАТЬСЯ ПОДЕЛИТЬСЯ

“მითების დეტექტორის” ომის პერიოდის მონიტორინგმა ასევე აჩვენა, რომ ალტ-ინფო და მათი პარტიული მხარდამჭერები ომის შესახებ კრემლის პროპაგანდისტული არხების იდენტურ დეზინფორმაციას ავრცელებდნენ.

შპს "ალტ-ინფო" 2019 წლის 28 იანვარს დარეგისტრირდა და მისი მფლობელები კონსტანტინე მორგოშიას მამიდა ციალა მორგოშია (50%), ასევე გადაცემის წამყვანი შოთა მარტინენკო (50%) იყვნენ. პარტია კონსერვატიული მოძრაობის დაფუძნების შემდეგ, ტელევიზიის მფლობელთა შორის შოთა მარტინენკო აღარ ფიგურირებს და ის ალექსანდრე ქარდავამ ჩაანაცვლა. მას შემდეგ, რაც ფეისბუქმა 2020 წელს ალტ-ინფოსთან დაკავშირებული ანგარიშები კოორდინირებული არაავთენტური ქმედების გამო წაშალა, ალტ-ინფომ საეთერო მაუწყებლობის ლიცენზია მოიპოვა და ეთერში 2021 წლიდან გავიდა. მათ საეთერო მაუწყებლობაზე ავტორიზაცია 2020 წლის 26 ნოემბერს მიიღეს.

კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში დეკლარირებული თანხების მიხედვით, ალტ-ინფოს ფინანსები 2021 წლის მესამე კვარტლიდან გაზრდილია. ტელეკომპანიამ თოქ-შოუების საინფორმაციო გამოშვებები დაამატა, რაზეც პერიოდულად ვაკანსიებს აცხადებდა. თანხების დიდი წილი მფლობელის შემოწირულობებია, რაც იმას ნიშნავს, რომ არხი ძირითადად დოტაციურია.

**ცხრილი 1.** ტვ ალტ-ინფოს დეკლარირებული ფინანსური შემოსავლები 2021-2022წწ.

| 2021, I კვ | 2021, II კვ | 2021, III კვ | 2021, IV კვ | 2022, I კვ |
|---|---|---|---|---|
| 8216 | 23,489.00 | 269,447.40 | 276,864.41 | 225,927.65 |

*წყარო: კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია*

ალტ-ინფოსთან დაკავშირებული ანგარიშები ფეისბუქმა კოორდინირებული არაავთენტური ქმედების გამო არაერთჯერ წაშალა. 6 ივლისის მონაცემებით, გადაცემებს შემდეგი გვერდებით ავრცელებენ: ალტერინფო, Kima's Page, Punisher. გავრცელების მიზნით იყენებენ ასევე პარტიის მხარდამჭერ ინდივიდუალურ ანგარიშებსაც და სხვადასხვა სოცპლატფორმებს, როგორიცაა ტიკტოკი, ტელეგრამს და vkontakte.

კიდევ ერთი ფეისბუქ გვერდი, რომელიც მხარს უჭერს ალტ-ინფო კონსერვატიულ მოძრაობას და ქსენოფობიურ, ანტილიბერალურ და ანტივაქსერულ მასალებს აქვეყნებს. დედაქალაქია. კოკა მორგოშიას მამიდასთან ერთად შპს დედაქალაქის დამფუძნებლები არიან ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის სხვა მხარდამჭერები - ბექა ვარდოსანიძე, ნინო ქავთარაძე და ირაკლი ანთიძე, რომელიც აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი თანამშრომელია. ბექა ვარდოსანიძე, რომელიც წარსულში "ქართული მარშის" საინიციატივო ჯგუფის წევრი იყო ამჟამად მართავს სამ ფეისბუქ გვერდს: ბექა ვარდოსანიძის ბლოგი•Beka Vardosanidze's blog, ბექა ვარდოსანიძე და საზოგადოება•Beqa Vardosanidze and the society, BeqaNews.

**ტელევიზიის ტრანსფორმაცია პოლიტიკურ პარტიად.** 2021 წლის 20 ნოემბერს ტელეკომპანია „ალტ-ინფოს" გუნდმა ყრილობა გამართა და ახალი პარტია "კონსერვატიული მოძრაობა" წარადგინა. პარტია ოფიციალურად 7 დეკემბერს დარეგისტრირდა, 2022 წლის 15 იანვარს კი ზუგდიდში "კონსერვატიული მოძრაობის" პირველი რეგიონული ოფისი გაიხსნა. 2022 წლის 28 ივნისის მონაცემებით, "კონსერვატიულ მოძრაობას" თბილისის გარდა, საქართველოს 60 დიდ და პატარა ქალაქსა და 2 სოფელში წარმომადგენლობა ჰყავს. იანვრის განმავლობაში კონსერვატიულმა მოძრაობამ ოფისები 10 მუნიციპალიტეტში (**ხობი, მარტვილი, მესტია**, **წალენჯიხა**, **აბაშა**, **ზუგდიდი**, **თელავი, ლაგოდეხი**, **დმანისი**, **რუსთავი**), თებერვალში 33 (**ახალქალაქი**, **ნინოწმინდა**, **დუშეთი**, **ქარელი**, **გორი**, **ტყიბული**, **ბაღდათი**, **თერჯოლა**, **ვანი ხონი**, **წყალტუბო**, **ბათუმი, ქუთაისი**, **სამტრედია, სენაკი, ფოთი, ჩხოროწყუ**, **საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი**, **ახმეტა, ყვარელი, წნორი**, **ბორჯომი,**

[ახალციხე](), [გარდაბანი](), [თეთრიწყარო](), [ხაშური](), [კასპი](), [ლენტეხი](), [ცაგერი](), [ონი](), [ამბროლაური]()), მარტში 13 ([საგარეჯო](), [გურჯაანი](), [დედოფლისწყარო](), [ხარაგაული](), [თიანეთი](), [მცხეთა](), [ლანჩხუთი](), [ოზურგეთი](), [ჩოხატაური](), [ქობულეთი](), [ქედა](), [ხელვაჩაური](), [ადიგენი](), [მარნეული]()), აპრილში კი 3 მუნიციპალიტეტში ([წალკა](), [ასპინძა](), [ყაზბეგი]()) გახსნა. მარტში დამატებით ორი ოფისი მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ [ხაიშსა]() და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ [დარჩელში]() გაიხსნა.




***ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის ოფისები საქართველოში***

კონსერვატიულმა მოძრაობამ 20 ნოემბრიდან დღემდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 62 ოფისი გახსნა. ოფისები 4 ქალაქში ადგილობრივმა სასულიერო პირებმა აკურთხეს.

| # | ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის რეგიონული ოფისები, მათი ფეისბუქ გვერდები, ჯგუფები და ანგარიშები | სასულიერო პირების მონაწილეობა პარტიული ოფისების კურთხევაში |
|---|---|---|
| 1 | კონსერვატიული მოძრაობა ოზურგეთი | 12 აპრილს ოზურგეთის კონსერვატიული მოძრაობის ოფისი მამა ვახტანგ თოხაძემ [აკურთხა](). |
| 2 | [კონსერვატიული მოძრაობა ბორჯომი]() | 24 მარტს ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მოძღვრებმა აკურთხეს, მათ შორის [ერთ-ერთ]()ია ბორჯომის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა არჩილი. |
| 3 | [კონსერვატიული მოძრაობა/თელავი]() | 31 იანვარს თელავში "კონსერვატიული მოძრაობის" ოფისის გახსნას თელავის ღვთაების დედათა მონასტრის მღვდელმსახური, გენადი გოგილაშვილი [დაესწრო](). |
| 4 | [კონსერვატიული მოძრაობა საგარეჯო]() | 3 აპრილს კონსერვატიული მოძრაობის საგარეჯოს ოფისი მამა გიორგი პავლოვნა [აკურთხა](). |
| 5 | [კონსერვატიული მოძრაობა - თიანეთი]() | |

| | | |
|---|---|---|
| 6 | კონსერვატიული მოძრაობა ადიგენი | |
| 7 | კონსერვატიული მოძრაობა გორში | |
| 8 | კონსერვატიული მოძრაობა /გურჯაანი | |
| 9 | კონსერვატიული მოძრაობა რუსთავი | |
| 10 | Kკონსერვატიული მოძრაობა სამტრედიაში | |
| 11 | კონსერვატიული მოძრაობა ბათუმში / Conservative movement in Batumi | |
| 12 | კონსერვატიული მოძრაობა კასპში, კონსერვატიული მოძრაობა კასპი (2) | |
| 13 | კონსერვატიული მოძრაობა ქობულეთი / Conservative Movement Kobuleti | |
| 14 | კონსერვატიული მოძრაობა ჩხოროწყუ | |
| 15 | კონსერვატიული მოძრაობა ქედა / Conservative movement Keda | |
| 16 | კონსერვატიული მოძრაობა სენაკი | |
| 17 | კონსერვატიული მოძრაობა ხელვაჩაურში | |
| 18 | კონსერვატიული მოძრაობა ზესტაფონი | |
| 19 | კონსერვატიული მოძრაობა დედოფლისწყაროში (ჯგუფი) | |
| 20 | კონსერვატიული მოძრაობა ქარელში | |
| 21 | კონსერვატიული მოძრაობა თერჯოლაში | |
| 22 | კონსერვატიული მოძრაობა - ლაგოდეხის ორგანიზაცია | |
| 23 | **კონსერვატიული მოძრაობა-აბაშა** (ჯგუფი) | |
| 24 | კონსერვატიული მოძრაობა მარტვილი (ჯგუფი) | |
| 25 | კონსერვატიული მოძრაობა წნორი (ჯგუფი) | |
| 26 | კონსერვატიული მოძრაობა ახმეტა (ჯგუფი) | |
| 27 | კონსერვატიული მოძრაობა - ჭიათურა (ჯგუფი) | |
| 28 | კონსერვატიული მოძრაობა - დმანისი (ჯგუფი) | |
| 29 | თეთრიწყაროს კონსერვატიული მოძრაობა (ჯგუფი) | |
| 30 | კონსერვატიული მოძრაობა გარდაბანი (ჯგუფი) | |
| 31 | კონსერვატიული მოძრაობა ახალციხე | |
| 32 | კონსერვატიული მოძრაობა ყვარელი | |
| 33 | კონსერვატიული მოძრაობა - ხარაგაული | |
| 34 | კონსერვატიული მოძრაობა მარნეული | |
| 35 | კონსერვატიული მოძრაობა ხობი | |
| 36 | კონსერვატიული მოძრაობა მესტია | |
| 37 | კონსერვატიული მოძრაობა ჩოხატაური | |
| 38 | კონსერვატიული მოძრაობა საჩხერეში | |

| | | |
|---|---|---|
| 39 | კონსერვატიული მოძრაობა ფოთი | |
| 40 | კონსერვატიული მოძრაობა-ქუთაისის ორგანიზაცია | |
| 41 | კონსერვატიული მოძრაობა წყალტუბოში | |
| 42 | ხონის კონსერვატიული მოძრაობა | |
| 43 | კონსერვატიული მოძრაობა ტყიბულში | |
| 44 | კონსერვატიული მოძრაობა დუშეთი | |
| 45 | კონსერვატიული მოძრაობა-ლანჩხუთი | |
| 46 | კონსერვატიული მოძრაობა ზუგდიდი | |
| 47 | მცხეთის კონსერვატიული მოძრაობა | |
| 48 | კონსერვატიული მოძრაობა წალენჯიხაში | |
| 49 | კონსერვატიული მოძრაობა ამბროლაური | |
| 50 | ლენტეხის კონსერვატიული მოძრაობა | |
| 51 | კონსერვატიული მოძრაობა ცაგერი | |
| 52 | კონსერვატიული მოძრაობა ონი | |
| 53 | კონსერვატიული მოძრაობა ხაშურში. | |
| 54 | წალკა-კონსერვატიული მოძრაობა (ჯგუფი) | |
| 55 | კონსერვატიული მოძრაობა ხაიში | |
| 56 | კონსერვატიული მოძრაობა დარჩელი | |
| 57 | ბაღდათი (ფეისბუკ ანგარიში 27 ივნისის მდგომარეობით წაშლილია) | |
| 58 | ვანი | |
| 59 | ნინოწმინდა | |
| 60 | ახალქალაქი | |
| 61 | ასპინძა | |
| 62 | ყაზბეგი | |

27 ივნისის მონაცემებით “კონსერვატიული მოძრაობის” ოფისი ოფიციალურად არ გახსნილა ბოლნისსა და სიღნაღში, ხოლო ხულოსა და შუახევში პარტიას ოფისის მიქირავებაზე უარი უთხრეს. აღსანიშნავია, რომ ოფისის არარსებობის მიუხედავად, არსებობს ფეისბუკ ჯგუფი **კონსერვატიული მოძრაობა - ბოლნისი**, ფეისბუკ გვერდი კონსერვატიული მოძრაობა ხულო / Conservative movement Khulo.

ივნისის თვეში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კონსერვატიული მოძრაობა არადეკლარირებული შემოსავლების გამო დააჯარიმა. აუდიტმა სასამართლოს პარტიის 2021 წლის დეკლარაციის არასწორი წარდგენის და შემოწირულობების დამალვის გამო მიმართა და მათი 217 482 ლარით დაჯარიმება მოითხოვა.

**სასულიერო პირების კავშირი “კონსერვატიულ მოძრაობასთან”**. სასულიერო პირების კავშირი “ალტ-ინფოსთან” ჯერ კიდევ 5 ივლისის “თბილისი პრაიდის” საწინააღმდეგო აქციამდე გამოიკვეთა. სიძულვილის ჯგუფები პრაიდამდე ერთი თვით ადრე ტრადიციულ და სოციალურ მედიაში პრაიდის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩაერთნენ და ჰომოფობიური შინაარსისა და ძალადობის შემცველ მოწოდებებს ტირაჟირებდნენ. “აი, ფაქტის” გამოძიების თანახმად, 5 ივლისს ძალადობრივ აქციაზე 26 სასულიერო პირი იმყოფებოდა. მათგან რამდენიმემ “ალტ-ინფოს” მხარდაჭერა პარტიად რეგისტრირების შემდეგაც განაგრძო, მაგალითად, დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი “ალტ-ინფოს” გადაცემების ხშირი სტუმარია და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში “კონსერვატიული მოძრაობის” კრემლისტურ პოზიციებს იზიარებს.

"კონსერვატიული მოძრაობის" აქტიურმა მხარდამჭერმა დეკანოზმა, სპიროდონ ცქიფურიშვილმა, რომელიც 5 ივლისს გამართულ "თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგო აქციაზე იმყოფებოდა, სიძულვილის ჯგუფებს ტრიბუნიდან შემდეგი სიტყვებით მიმართა: "არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ ქვეყნისთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის". იქ შეკრებილებს ძალადობისკენ მოუწოდებდა. "ალტ-ინფო " ეთერის ხშირი სტუმარი დეკანოზი ფიქრობს, რომ უკრაინის მხარდაჭერა დაუშვებელია, რამდენადაც ზელენსკი “გეი აქტივისტი” არის.




ვარდიგორის მამათა მონასტრის დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი “ალტ-ინფოს” მასალების გავრცელებაშიც აქტიურად მონაწილეობს და ომის შეჩერებას მათ დამსახურებად მიიჩნევს.






24 მარტს  ბორჯომში “კონსერვატიული მოძრაობის” ოფისი ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მოძღვრებმა აკურთხეს, მათ შორის ერთ-ერთია  ბორჯომის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა არჩილი.  კურთხევის ფოტომასალა სოციალურ ქსელში  პარტიის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა  გაავრცელეს.







3 აპრილს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდას ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარმა გიორგი პავლოვმა კონსერვატიული მოძრაობის საგარეჯოს ოფისი  აკურთხა .
ფოტოები სოციალურ ქსელში  კონსერვატიული მოძრაობა საგარეჯო-ს წარმომადგენლებმა გაავრცელეს.
მამა გიორგი პავლოვი, 5 ივლისის ძალადობრივ აქციაზეც იმყოფებოდა.






12 მარტს ოზურგეთში, პარტიის ცნობით, "კონსერვატიული მოძრაობის" ოფისი გაიხსნა. პარტიის გახსნამდე, "გურიის მოამბემ" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოფისის დაფუძნებაში შემოქმედის ეპარქიის მაკვანეთის ეკლესიის წინამძღვარი მამა ვახტანგი (თოხაძე) მონაწილეობდა და ორგანიზაციისათვის კადრებს არჩევდა, რაც სასულიერო პირმა "ტვ პირველისთვის" მიცემულ კომენტარში დაადასტურა. ვახტანგ თოხაძე, სასულიერო პირი: "ყველა ეროვნულ ძალას ვეხმარებით – ვასაძესაც, თარხან-მოურავსაც. მაგ ბიჭებსაც ვეხმარები“. აღსანიშნავია, რომ 12 აპრილს თოხაძემ ოზურგეთის კონსერვატიული მოძრაობის ოფისი აკურთხა. ოფისის კურთხევის შემდეგ სასულიერო პირმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ „რუსეთთან კავშირი აუცილებელია“, პუტინი არაფერ შუაშია და ქალებისა და ბავშვების გაუპატიურება ყველა ომში ხდება.

31 იანვარს თელავში "კონსერვატიული მოძრაობის" ოფისის გახსნას სასულიერო პირი, თელავის ღვთაების დედათა მონასტრის მღვდელმსახური, გენადი გოგილაშვილი დაესწრო.




## კონსტანტინე მორგოშია

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე მორგოშია ძალადობის წამახალისებელ განცხადებებს აქციამდეც აკეთებდა, ხოლო უშუალოდ 5 ივლისს კონტრაქციის მონაწილე 500-600 ადამიანს ორგანიზაცია “სირცხვილიას” ოფისისკენ გადაადგილებისკენ მოუწოდებდა და ინფორმაციას აწვდიდა, რომ იქ “თბილისი პრაიდის” წევრებიც იმყოფებოდნენ. სწორედ სირცხვილიას ოფისში მოხდა თავდასხმა ტელეკომპანია პირველის ოპერატორ ლექსო ლაშქარავაზე, რომელიც იქ სასტიკად სცემეს.

კონსტანტინე მორგოშია ორგანიზაცია “ალტერნატივა საქართველოსთვის” დამფუძნებელია, ა(ა)იპ “ახალგაზრდული ალტერნატივას” დამფუძნებელი კი რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე გიორგი ქარდავაა, რომელიც ალტ-ინფოს წამყვანია. შპს “ალტ-ინფოს” წილი კი მორგოშიას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი მამიდის ციალა მორგოშიას სახელზეა გაფორმებული.

2021 წელს ლევან ვასაძის პარტიის “ერი” გამოჩენის შემდეგ მორგოშიამ ვასაძეს მხარი ღიად დაუჭირა და მის პარტიასთან თანამშრომლობა დააანონსა. ვასაძემდე მორგოშია 2016 წელს კიდევ ერთი პრორუსული პარტიის “პარტიოტთა ალიანსის” მცხეთის მაჟორიტარ კანდიდატად იყრიდა კენჭს, 2017 წლიდან კი “ქართულ მარშს” შეუერთდა და არაერთი ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ანტიდასავლური აქციის ორგანიზატორი იყო.





მორგოშია „ქართული მარშიდან“ წასვლის შემდეგ,  ლევან ვასაძის პარტიის “ერთობა, რაობა, იმედის” წევრი გახდა  და 2021 წლის 5-6 ივლისს “თბილისი პრაიდის” საწინააღმდეგო აქციას “ალტ-ინფოს” წამყვანებთან ერთად ხელმძღვანელობდა.




კონსტანტინე მორგოშია ორი კომპანიის შპს “მაგნუს დიზაინისა” და შპს “კემ კონსტრაქშენის” თანამფლობელია.   “აიფაქტის” გამოძიების თანახმად, 2015 წელს შპს “მაგნუს დიზაინს”, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 82 ათასი ლარი გადაუხადა. სამინისტრო კომპანიას პირდაპირ, კონკურსის გარეშე უფორმებდა ხელშეკრულებებს.

## ზურაბ მახარაძე

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერისა და ტვ “ალტ-ინფოს” წამყვანის ზურა მახარაძის წარსულ კავშირებზე სახელისუფლებო ჯგუფებთან “ქართული ოცნების” დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილთან გადაღებული ერთობლივი ფოტოს გარდა, სახელისუფლებო PosTV-სთან  მისი თანამშრომლობაც მეტყველებს.



2017 წელს მახარაძე PosTV-ში გადაცემას “ზურა მახარაძის რეცეპტი” ამზადებდა, სადაც მისი საავტორო მონოლოგები ძირითადად ლიბერალების წინააღმდეგ იყო მიმართული და კონსერვატორების მარგინალიზაციის დაძლევის გზებზე ფოკუსირებული, მათ შორის იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთაც ლიბერალური ჯგუფები იყენებენ (ზურა მახარაძე: “რატომ არ არსებობს კონსერვატიული დღის წესრიგის დამცველი ნჯოები? სად არის ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია”).







2016-2017 წლებში მახარაძე ასევე აქვეყნებდა სტატიებს “ქართულ ოცნების” მემარცხენე ფრთასთან დაკავშირებულ პლატფორმაზე European.ge, სადაც ერთ-ერთ პუბლიკაციაში ის სწორედ შეცვლილ რეალიებში საქართველოს გეოპოლიტიკურ არჩევანზე ამახვილებდა ყურადღებას. 2016 წლის პუბლიკაციაში “ვართ თუ არა მზად შეცვლილი გეოპოლიტიკური სცენარისთვის?” მახარაძე იმ რეალობაზე საუბრობდა, როცა ამერიკის გლობალური უკანდახევის გამო, საქართველო რუსეთთან მარტო დარჩება:

“თუკი უკრაინისა და სირიის შემდგომ ურთიერთობათა გარკვევის წერტილი ისევ კავკასია გახდება, გაუძლებს კი ამ ყველაფერს საქართველო თავის დღევანდელ მდგომარეობაში? მგონი დროა, იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებების მიღებაზე არიან პასუხისმგებელნი, ვკითხოთ, არის თუ არა რაიმე გეგმა იმ სცენარისთვის, როდესაც ამერიკის გლობალური უკანდახევის გამო, ჩვენ რუსეთთან სრულიად მარტო დავრჩებით, ან იმ სცენარისთვის, როდესაც ახალი მსოფლიო გადანაწილების პირობებში ომი ისევ კარს მოგვიკაკუნებს”.

მახარაძე 2016 წელს ასევე ამტკიცებდა, რომ “დასავლეთის, როგორც აბსოლუტური სიკეთისა და ერთადერთი პოლიტიკური ორიენტირის ხატის ნგრევა” მოსახლეობის ცნობიერებაში გარდაუვალია, და რომ  “ეპოქა, რომელიც ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვებით გაფორმდა (მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი), დასასრულს უახლოვდება.”

2019 წელს მახარაძე ფიგურირებდა რუსთავი 2-ის წინ გამართულ საპროტესტო აქციაში, რომელიც ტელეკომპანიის ეთერში არხის წამყვანის გიორგი გაბუნიას მხრიდან რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიმართ გინებას მოჰყვა.  არქივში იძებნება კრემლის პროპაგანდისტული გამოცემა სპუტნიკისა და სხვა რუსული საინფორმაციო სააგენტოების (express-novosti.ru, newizv.ru, news-rbk.ru) მასალები, სადაც ფოტოებზე მომიტინგეთა შორის ზურა მახარაძეც  ჩანს. ქართველი ჟურნალისტის მხრიდან რუსეთის პრეზიდენტის გინებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან განცხადება მოჰყვა, სადაც ჟურნალისტის ქმედება პროვოკაციად და რუსუფობიად არის შეფასებული, რომლის მიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების  ხელშეშლაა.







მახარაძე  ახალგაზრდული ორგანიზაცია შავფაროსნებისა და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია  ავფაროსნების გამგეობის წევრია, გამგეობის ხელმძღვანელი კი ორივე ორგანიზაციაში ირაკლი ქოქოსაძეა.

ირაკლი ქოქოსაძე დირექტორად და მეწილედ ფიგურირებს ორ კომერციულ კომპანიაში, სადაც ზურაბ მახარაძეს 25% (შპს კავკასიის საექსპორტო კომპანია, 405172432) და 20%( შპს Art-M Travel, 401972317) წილები აქვს.

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს კავკასიის საექსპორტო კომპანია |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 405172432 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 25/10/2016 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ., კორ. 17, ბ. 30 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: zmakharadze1988@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - 54001019433, ირაკლი ქოქოსაძე

**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან**

განაცხადის ნომერი: 498962
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12076091
ამონაწერის მომზადების თარიღი: 13/06/2012 11:05:40

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს Art-M Travel |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ფოთის ქ., № 10/5 |
| ელექტრონული ფოსტა: | irakli@ngt.ge |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 401972317 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 13/06/2012 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა |

**ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები**

- 54001019433, ირაკლი ქოქოსაძე, დირექტორი, ,

**პარტნიორები**

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01030037600, ზურაბ მახარაძე, | 20.0000000% | 401972317-SH-00001 |
| 41001001526, მაია ქავთარაშვილი, | 40.0000000% | 401972317-SH-00002 |
| 01019013419, გრიგოლი ბლიაძე, | 20.0000000% | 401972317-SH-00003 |
| 54001019433, ირაკლი ქოქოსაძე, | 20.0000000% | 401972317-SH-00004 |

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 48001001376, თემურ ჯიქია | 25.000000000% | |
| 54001019433, ირაკლი ქოქოსაძე | 25.000000000% | |
| 01030037600, ზურაბ მახარაძე | 25.000000000% | |
| 01011080593, ოთარი კახიძე | 25.000000000% | |



Art-M Travel ტურისტული კომპანიაა, რომელიც [ფეისბუკის](#) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად რუსულენოვან ტურისტებზეა გათვლილი.




მახარაძე წარსულში საქართველოს თავდაცვის ძალების საკონტრაქტო სამხედრო სამსახურშიც [მუშაობდა.](#)



## დანართი 1. 5 ივლისის ძალადობრივ აქციაზე მყოფი პირები

| | დაკავებული პირები | აქციის მონაწილეები |
|---|---|---|
| 1. | ალიკ ალაზოვი Jaki Alazovi | ენრი ონიანი |
| 2. | თედო ბურდული | თემო ბოკლევაძე |
| 3. | ივანე ბურდული | ლაშა ლეკიაშვილი |
| 4. | თორიკე გაბლიანი | სანდრო ლობჟანიძე |
| 5. | ოთარ გელაშვილი | გოგა ფოლადიშვილი |
| 6. | გია გიგუაშვილი | ნიკოლოზ კვანჭიანი |
| 7. | გენო გერმანიშვილი | ფიდო ხიზანიშვილი |
| 8. | ნიკოლოზ გულედანი | დავით გუდაშვილი |
| 9. | მუხრან დადვანი | ჯარჯი შუქიაური |
| 10. | უშანგი დათუნაშვილი (გათავისუფლდა) | ხვიჩა ამირანაშვილი |
| 11. | თორნიკე დავლაშერიძე | ოთარი ჩიტიშვილი |
| 12. | მურად დევლარიშვილი | ვაჟა გუმბერიძე |
| 13. | გიორგი ელისაბარაშვილი | ერმილე ნემსაძე |
| 14. | რომეო კეკუტია | გიორგი ქართველი |
| 15. | დათო კუტალაძე | ბექა ბერიშვილი |
| 16. | ბაქარ მაისურაძე | გიგა ჩაკვეტაძე |
| 17. | ზაზა მჭედლიძე | დათო კვიციანი |
| 18. | გიორგი მაღრაძე | დავით ლომსაძე |
| 19. | აკაკი ნაკაშიძე | თემო ხაჯბა |
| 20. | გიორგი ნასყიდაშვილი | გიორგი ქერდეყაშვილი |
| 21. | გიორგი ოძელაშვილი | იაგო ჭანტურია |
| 22. | ილია ქებაძე | ბიჭიკო ანთიძე |
| 23. | ირაკლი ყავლაშვილი | მიშო გამრეკელაშვილი |
| 24. | დავით ქოჩიაშვილი | ჩოგოვა ძე |
| 25. | ზაზა ჭაავა | რატი ნიჟარაძე |
| 26. | თემური ხარაული | ზურაბ კობახიძე |
| 27. | ირაკლი წიგნაძე | შაკო ქერელაშვილი |
| 28. | გიორგი წარუაშვილი | ბესო ბერიშვილი |
| 29. | ცოტნე ჩიხლაძე | კობა ცისკაძე |
| 30. | | გიო მენთეშაშვილი |
| 31. | | უშო მათიაშვილი |
| 32. | | ბექა მიქაია |
| 33. | | ბაკო ზედგინიძე |
| 34. | | ლევან მჭედლიშვილი |
| 35. | | გელა გაგუა |
| 36. | | ლაშა ხეცურიანი |
| 37. | | გეგა გიორგი ხვედელიძე |
| 38. | | ლევან სარჯველაძე |
| 39. | | დიეგო შამათავა |
| 40. | | ლუკა ჩირგაძე |
| 41. | | მირიანი ბერიძიშვილი |
| 42. | | გიორგი დადვანი |
| 43. | | ნოდარ გიგანი |
| 44. | | გიგა კარბელაშვილი |
| 45. | | ზუკა ოთარაშვილი |
| 46. | | ოთო ზუკაკიშვილი |
| 47. | | ზურა ანიაშვილი |
| 48. | | გიორგი ანიაშვილი |
| 49. | | შოთა მამულაშვილი |
| 50. | | გიორგი დემეტრაძე |
| 51. | | გიორგი ასათიანი |